



დასრულდა სსკგ-ს თავმჯდომარის სამუშაო ვიზიტი ამერიკაში



2021 წლის 15 ივლისს დასრულდა მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ილარიონის ვიზიტი აშშ-ში, სადაც ის მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილეს ლოცვა-კურთხევით მონაწილეობას იღებდა ქ. ვაშინგტონში რელიგიური თავისუფლების საკითხებთან დაკავშირებით ჩატარებული საერთაშორისო სამიტის მუშაობაში.

ნიუ-იორკის აეროპორტიდან მიტროპოლიტი ილარიონი გამოაცილეს ამერიკაში რუსეთის კონსულმა ს. კ. ოვსიანიკოვმა და წმ. ნიკოლოზის საპატრიარქო ტაძრის კლირიკოსმა ილუმენმა ნიკოდიმოსმა (ბელიასნიკოვი).

11 ივლისს მიტროპოლიტი ილარიონი საღვთო ლიტურგიაზე თანამწირველობდა სრულიად ამერიკისა და კანადის უნეტარეს მიტროპოლიტ ტიხონთან, ნიუ-იორკის ნიკოლაევის ტაძარში. წირვის შემდეგ მოლაპარაკებები გაიმართა სსკგ-ს თავმჯდომარესა და ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის

წინამძღვარს შორის.

12 ივლისს, წმინდა მოციქულთა პეტრესა და პავლეს ხსენების დღეს, მიტროპოლიტმა ილარიონმა სადღესასწაულო წირვა აღასრულა რსმე-ის პირველიერარქთან, აღმოსავლეთ-ამერიკისა და ნიუ-იორკის მიტროპოლიტთან ერთად ნიუ-იორკში, რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის სინოდალურ რეზიდენციაში.

იმავე დღეს მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე, წმინდანთა მოციქულთასწორთა კირილესა და მეთოდეს სახ. ზოგადსაეკლესიო ასპირანტურისა და დოქტორანტურის რექტორი, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ილარიონი შეხვდა ნიუ-იორკის წმინდა ვლადიმერის სემინარიის პრეზიდენტს ჩად ჰატფილდს.

14 ივლისს სსკგ-ს თავმჯდომარე სიტყვით გამოვიდა რელიგიური თავისუფლების საკითხებთან დაკავშირებით ვაშინგტონში გამართულ საერთაშორისო სამიტზე. სამიტის მინდვრებზე შედგა მისი შეხვედრები ყოფილ ელჩთან რელიგიური თავისუფლების საკითხებში სემ ბრაუნბეკთან, უფლებადამცველი ორგანიზაციის **Open Doors** პრეზიდენტ დევიტ კარისთან, ბილი გრემის ევანგელისტური ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტ ვ. გ. გამთან, აშშ-ს კონგრესმენ ჯიმ სლეტერთან, გფრ-ს ბუნდესტაგის დეპუტატ ვალდემარ ჰერდტთან, ნაციონალური სამლოცველო საუზმის ორგანიზატორთან ამერიკაში დაგ ბერლისთან, მედიაკომანიის **Trans World Radio** პრეზიდენტ ლორენ ლიბთან, ქრისტიანული ორგანიზაციის **Pulse** ლიდერ ნიკო ჰოლმთან. იმავე დღეს მიტროპოლიტმა ვაშინგტონში მოილოცა რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის იოანე წინამორბედის ტაძარი, სადაც ის მიიღო ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა ვიქტორ პოტაპოვმა; ეწვია, ასევე, რუსეთის ფედერაციის საელჩოს და შეხვდა რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. ი. ანტონოვს.

15 ივლისს მიტროპოლიტმა ილარიონმა შეხვედრები გამართა კათოლიკური ფონდის „**Urbi et orbi**“ დამფუძნებელთან, ჟურნალის „**Inside the Vatican**“ მთავარ რედაქტორთან – რობერტ მოინიჰანთან და რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის იერარქთან, ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის ყოფილ წინამძღვართან – მიტროპოლიტ იონასთან (პაფჰაუზენი).

აშშ-ში ვიზიტისას ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ილარიონს თან ახლდნენ სსკგ-ს თანამშრომელი ფილიპე ჩემპიონი და იპოდიაკონი ვიაჩესლავ ლი.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/87745/>